

საპარტიზალს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ЛЕЛО** Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

№ 24  
(3001)

1966 წ.

სოთხაბათი,  
თებერვალი.

ფასი 3 კპპ.

გამოცემის  
22-ე წელი



ეროვნული  
გიგლირთი

**გუშინ** თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დიწყო 4 ქალაქის — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტარტუს, ოდესისა და თბილისის უნივერსიტეტების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული შეჯიბრება. ასპარეზობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი მხატვრულ ტანმოვარჯიშში ლ. პარადიევა, აგრეთვე ცნობილი სპორტსმენები ნ. გორბენკო, ს. მაჭავარიანი, ი. კოლემა, ს. იომისი და სხვ. სურათზე: კიევის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ნ. გორბენკო საგნით ვარჯიშისას. ფოტო გ. შევილაძისა.

### პირველად — ზამთარში...

ქართველ მთაშველელთა წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი. სწორედ ამან განაპირობა 1965-66 სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სათბილამურო სპორტის კათედრის ბაზაზე ალბინიზმის, ტურნიზმისა და სამთო-სათბილამურო კათედრის ჩამოყალიბება. ასეთი კათედრა პირველად დაარსდა სსრ კავშირში. ალბინიზმის განყოფილებაზე მიღებულ იქნა 10 აბითურიენტი, მათ შორის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ალბინიზმსა და კლდეზე ცოცვაში სსრ კავშირის ჩემპიონი,

მსოფლიოში „კლდის ვეფხვად“ წოდებული მ. ხერგიანი (უფროსი). სათანადო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ კათედრის შუამდგომლობითა და ინსტიტუტის რექტორატის დადგენილებით კათედრის მთავარმწიფეები გაეშურენ მაღალმთიანეთში სპეციალური წვრთნის გასამართავად. რექტორატმა თხოვნით მიმართა საქართველოს მთაშველელთა ფედერაციის პრეზიდიუმს ალბინიზმის განყოფილების 7 სტუდენტისთვის (ხელმძღვანელი — მ. ხერგიანი) ნება დაერთო ზამთარში ასულყო

მწვერვალ იალბუჯზე, რაც უმაგალითო შემთხვევაა ამ მწვერვალის დაპყრობის ისტორიაში. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და აი, 28 იანვარს ექსპედიცია მ. ხერგიანის, ა. რატვიანის, რ. გვარდიანის, ზ. მუშუქიანის, ა. თევდორაძის, კ. არღვლიანისა და თ. ბაქანიძის შემადგენლობით გზას გაუდგა. იალბუჯზე ასვლა მიეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 45 წლისთავს. **დ. შიპაბერიძე**, საქართველოს დამსახურებული მწვერვალე.

### კუხინ...

**ჩვენს კალიფორნიას**  
**კვლავ მოიბრუნა...**  
ლუბანსკში, საქვეშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 58:33.

### ...პაპაშვილი კი გოლმ ვაშლს წაიგებ

**ტალინში**, როცა თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის არმიელთა მატჩის დამთავრებას 1 წუთი აკლდა, წინ იყვნენ თბილისელები — 71:70. მაგრამ გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 72:71 (პირველი ტაიმი 8 ქულის უპირატესობით მოიგეს დინამოელებმა). გაეთა გუნდების დანარჩენი შედეგები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 89:72, „უალგირისი“ (კალანსი) — „დინამო“ (მოსკოვი) 53:71, „კალევი“ (ტარტუ) — ვეფ (რიგა) 74:71, ცსკა—ასკ (კიევი) 89:79.

### ჩემპიონთა თასზე

ანტვერპენი. აქ გაიმართა ფრენბურთის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე მერვედფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ პოლანდიის „ბლოკერისა“ და ბელგიის „ბრაბოს“ გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2. ზუსტად ასე დამთავრდა ამ კოლექტივთა პირველი მატჩიც და „ბლოკერი“ გავიდა მეოთხედფინალში.

### უკანსკულ საი...

◆ **ლენინგრადი**, 2 თებერვალი. „ბურვეესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობაზე, რომელშიც 320 უძლიერესი მძლეოსანი მონაწილეობს, გამთვლინდნენ პირველი ჩემპიონები: ლენინგრადელები ნ. პოლიტიკომ ყველას აჯობა 100 მეტრზე რბენაში — 10,4. სიმაღლეზე სტომაში პირველი იყო მსოფლიო ვ. სკვორცოვი — 215 სმ, ხოლო ჰოკით სტომაში — ხარკოველი ვ. მლიზნევი — 480 სმ. სამსტოში გაიმარჯვა უკრაინელმა ლ. პოტიომკინმა — 15,77 მ. ბირთვის კვრაში ტოლი არ ყავდა თბილისელ მ. იყროშიძეს — 17,41 მ.

◆ **ბრატისლავა**, 2 თებერვალი. ევროპის ფიგურისტთა ჩემპიონატში საავსტრული პროგრამის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, ინსბრუკის ოლიმპიადის თქრუს მედალოსნები ლ. ბელუსოვა და თ. პროტოპოპოვი (სსრ კავშირი) — 104 ქულა. II ადგილზე არიან საბჭოთა სპორტსმენები ტ. შუკი და ა. გორელიკი — 101,4 ქულა, ხოლო III — დასავლეთევროპელი ფიგურისტები მ. გლუკაპუბერი და ვ. დანე — 96 ქულა. წარმატებით გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა ასალგაზრდული დუეტი — ტ. ტარასოვა და ვ. პროსკურინი, რომლებსაც 95,1 ქულა აქვთ და კარგ შანსებს ინარჩუნებენ საპრიზო ადგილებში მოსახვედრად. მოცეკვავეთა შორის დაწინაურდნენ ინგლისელები დ. ტაულერი და ბ. ფორდი.

### რეკორდები, რეკორდები...

**სარბოვი**. „ტრუდის“ მოცურავეთა პირველობაზე გოგონათა ახალი საქვეშირო რეკორდი დამყარა ლ. ზახაროვამ (პერმი), რომელმაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა 2:43,5.

**ტუპასი**. „ბურვეესტნიკის“ ახალგაზრდულ პირველობაში იუნიორთა ახალი საქვეშირო რეკორდი დამყარა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა კ. ბალდინმა (ჭვემშიმე წონა). მან აკრა 162,5 კგ.

### ა. სხენკი არ ცხრება

ინცელი (ფერ). ახალგაზრდა პოლანდიელი მოციგურე არდ სხენკი, რომელმაც ამას წინათ მოიხვეჭა ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის დაფნის გვირგვინი, არ ცხრება. 3.000 მეტრზე მსოფლიო რეკორდის დამყარების გარდა მან ადგილობრივ საციგურაოზე დამსო მსოფლიოს რეკორდი 1500 მეტრზე რბენაშიც — ეს მანძილი დაფარა 2 წუთსა და 5,3 წამში; აგრეთვე აჩვენა საერთოდ არსებული შედეგი მრავალქილში — 176,154 ქულა. აღსანიშნავია სხენკის მეგობრის, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის, ახალგაზრდა ვ. ვერკერის დრო 5.000 მეტრზე რბენაში — 7,28,8 (წლევანდელი სეზონის საუკეთესო მაჩვენებელი მსოფლიოში).

### ტალინელი „სხენკი“


რიმა, 2 თებერვალი. ევროპის ახალ ჩემპიონს ციგურაობაში, პოლანდიელ არდ სხენკს კარგი სენია გაუჩნდა. „ლატვიის დედაქალაქში რესპუბლიკის ჩემპიონისა და რეკორდსმენის, ციგურაობაში 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილის არია გულიტესა და მისი მეუღლის, სპორტული ჟურნალისტის არნოლდ მარტის ოჯახში გაჩნდა ძე, რომელსაც ევროპის ჩემპიონის საბატეცემულოდ არდი დაარქვეს. ბიჭუნა „გოლიათი“ დაიბადა — იწონის 4 კილოგრამსა და 300 გრამს. „ჯერ ადრეა იმის თქმა, თუ რა გამოვა ჩემი შვილი, — თქვა ბედნიერმა დედამ, — მაგრამ მინდა იგი კარგ სპორტსმენად აღზარდოს, რა თქმა უნდა, მოციგურედ“.

### მასინკლავი ჩამორჩენ

არმიბა, 1 თებერვალი. შევეციის მთბილამურეთა ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ. დღეს გაიმართა ქალთა რბოლა 5 კილომეტრზე. ყველას აჯობა სვერდლოვსკელმა ვ. ბოიარსკისმა — 16,54,0. მომდევნო ადგილებიც საბჭოთა მთბილამურეებმა — ე. მექვილომ, ა. კოლინამ, რ. აჩინამ და მ. გუსაკოვამ — დაიკავეს. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ბ. მარტინსონი — 17,23,0.

### სსრ კავშირში — უდიდესი

**კიეველამ** ჩოგბურთელებმა კლესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — ზამთრის დასურული კორტები. იგი საუკეთესოა სსრ კავშირში. 14 მეტრი სიმაღლის დარბაზში ორი სათამაშო მოედანია. რამდენიმე დღის შემდეგ აქ დაიწყება სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა პირადი პირველობა, ხოლო რამდენიმე წნის შემდეგ — გუნდური ჩემპიონატიც. მანამდე კი ახალ კორტებზე გაიმართა ადგილობრივი და მოსკოველი ჩოგბურთელების სამატჩო შეხვედრა. მოულოდნელად დამარცხდნენ წყვილთა შორის — სსრ კავშირის ჩემპიონები გ. ბაკშეევა და ი. ტარანოვა მოსკოველ ოსტატებთან ტ. ჩალკოსა და მ. ჩუღირინასთან.



დახედეთ ამ სურათს. მასზე აღბეჭდილია მოსკოვის სპორტის სასახლის უჩვეულო იერი. სარბიელი, სადაც ადრე ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, მოკრივენი, პოკეისტები, ფიგურული სრიალის ოსტატები ასპარეზობდნენ, ამ დღეებში „სპორტის დედოფალმა“ დაიპყრო: ამას წინათ აქ გაიმართა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ეს ნაგებობა უნიკალურია. სასახლის მძლეოსნური მოედანი ფიჭვის 500 ბლოკიდან შედგება. მემონტაჟეები დღედაღამ საქმიანობდნენ და ასპარეზობის დაწყების წინ მზად იყო ყველაფერი — ცენტრში 6 პირდაპირი ბილიკი 60 მეტრზე რბენისთვის, 160-მეტრიანი წრიული ბილიკები, ჭკობით სივრცეზე და სიმაღლეზე სასტოში ორმოები, ბირთვის საკრედი სექტორი და სხვ. სპორტის სასახლის მძლეოსნურმა სარბიელმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა. სურათზე: მოსკოვის სპორტის სასახლის მძლეოსნური სარბიელი. ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# მეოთხედი საუკუნე გავსდება



საქართველოში ხტუმრად იმყოფებოდა ბულგარეთის სამხიხტა ნაკრები ჯუნდი. კახის შემდეგ ამხანაგური შეხვედრა მან გორის „განთავის“ მოქიდავეებთან გამართა. უპირატესობა ამჯერადაც მასხინსტების მხარეს იყო, რომლებმაც შედივე ბრძოლა მოიგეს (უმჩატეს წონაში ბულგარელებს მონაწილე არ გამოუყენიათ).

სურათზე: საქართველოს დამსახურებული მწერთა ნ. ნინია-შვილი გორის სპორტული საზოგადოებრიობის სახელით სამახსოვრო საჩუქარს გადასცემს ბულგარულ სამხიხტა კ. კოვანჯიევს.

ნესტაფონის მე-2 საშუალო სკოლაში 25 წელია, რაც ფიზიკურად მასწავლებლად მუშაობს შ. გეგაძე. თავად ძველი მძლეოსანი და ფეხბურთელი გულისხმიერად, მონდომებით ეკიდება მინდობილ საპატიო საქმეს და წლების განმავლობაში ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი აღზარდა. შთას უანგაროდ უყვარს ბავშვები და ამითვე პასუხობენ ღვაწლმოსილ პედაგოგს მისი აღსაზრდელები.

ნესტაფონში ჯერ არ ჩატარებულა მძლეოსანთა საქალაქო თუ რაიონული ასპარეზობა, რომ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. გეგაძეს დაუზარელი, საქმის მცოდნე სპეციალისტი ამ შეჯიბრებებში კარგად აბრუნებს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

თუ კი მე-2 სკოლაში მიხვალთ, თვალს გაგიხარებთ სპორტულ ბრძოლებში მოხვეუილი სიგულები, თასები, აგრეთვე კარგად გაფორმებული ფიზკულტურული ფორტეტუნდები, ალბომები... მოსწავლეები განსაკუთრებულა

გატაცებით ასპარეზობენ მძლეოსნობაში, მაგრამ არანაღები იბტურებით მისდევან ფეხბურთს, ფრეხბურთს, კალათბურთს, ხელბურთს, მავალი ჩოგბურთს, ვადრაქს, შაშასა და ტურნოსს. აი, სულ ახლახანაც მოსწავლეთა ხელით მოწყობილ მოედნებზე გაცხველებული ასპარეზობანი იყო გამართული — ჩატარდა საქართველოს კომპარტიისა და სკკპ XXIII ყროლოებისდმი მიძღვნილი შეჯიბრებანი ფეხბურთში, ხელბურთში და მავლის ჩოგბურთში.


სკოლა ამავობს თავისი აღზრდლებით, აქ სწავლობდა სპორტის ოსტატი, ძალოსანი კ. ბაზაძე, რომელიც ამჟამად ნესტაფონის სპორტკავშირის თავმჯდომარედ მუშაობს. შარშან მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადში ამ სკოლის მოსწავლე-მძლეოსანი დ. კოვანიძე IV ადგილზე გავიდა სინაღლეზე სტრამში (175 სმ) და რესპუბლიკის ნაკრებშიც მოხდა. შ. გეგაძე ახლაც ზრდის მძღვეოსან მოსწავლე-სპორტსმენებს. აი, ზოგიერთი მათგანი:

პ. გოცაძე, ბ. მინდოძე, ა. სარატოვილი, გ. მარტოვილი, მ. გომიანიძე... ნინოსანთა, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კავშირის მომხმადგენლის შარშანდელი გეგმა სკოლამ გადაპარებებით შესარულა.

ამ წარმატებათა სადღეძველი სპორტის სიგუარული, რომელიც ამ სკოლაში სუფევს. შ. გეგაძეს მხარში უდგას მისი კოლეგა — ფიზიკურის მასწავლებელი რ. გვლია, რომელიც დიდად უხმარებანი სსსრ-სწავლების დირიქტორი, მთელი პედაგოგიური პერსონალი.

პ. ბანუზარბაძე, (ჩვენი კორ.), ნესტაფონი.

## აქვთ საამისო პირობები



თბილისის პერის მე-6 ქარხანაში ბეგია სპორტის მოყვარული, მაგრამ ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს უმოქმედობის გამო ისინი წლების განმავლობაში მოკლებული იყვნენ სექციებში რეგულარულ ვარჯიშსა და შეჯიბრებებს. შარათალია, აქ შექმნილი იყო ფრენბურთის, კალათბურთის, ვადრაქის, შაშის, ტყვიით სროლისა და მავლის ჩოგბურთის სექციები, მაგრამ ისინი ძალიან უხეიროდ საქმიანობდნენ და თითოერთი შიდასაკოლექტივო პირველობით კმაყოფილებოდნენ. მავალითად, პრიფკავშირების სპარტაკიადისთვის საზადისში შარშან ქარხანაში თითო შარტი ჩატარეს ფრენბურთსა და კალათბურთში და შირალი ჩოგბურთობა გამართეს მავლის ჩოგბურთში, მეორე სახელდახელოდ დაკომპლექტებული გუნდები „განთავის“ საქალაქო შეჯიბრებაში მიაღწინეს, სადაც, ცხადია, ცუდად დაამუშავენ: კომპლექტურ ჩათვლაში მხოლოდ VIII ადგილი დაიკავეს თავიანთ ჯგუფში.

ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს ცუდი მუშაობის გამო იყო ისიც, რომ გაპარტახდა სპორტული მოედნები (ამ ფაქტზე „ლელოშიც“ დაიწერა). გავითვის სინჯალის შემდეგ საქმეში ჩაერთვნენ ქარხნის დირექტორი, პრიფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ფიზკულტურული მუშაობის ხელშემძღვანელობა საქმის მძღვნე ენთუსიასტს ი. ლევინოვილს ჩააბარეს, კარგად დაეხმარნენ მას და მდგომარეობა ურთავარად გამოასწორეს — შეაქვეტეს კალათბურთის მოედანი და ფარები, შეიძინეს ინვენტარი, შეიმუშავეს სპორტლონისდგებათა კალენდარი, გადაახალისეს სექციები, რომლებსაც საზოგადოებრივი საქმიანებზე უმძღვანებანი აქტივისტები. შარათალია, ყველა ხარვეზის დაძღვევა ჯერჯერობით არ მოხერხდა, მაგრამ ახალ-გაზრდობის მონდომება იმის გარანტია იძლევა, რომ ამ საქმეში მალე ექნებათ სისხლსავსე ფიზკულტურული კოლექტივი. აქ აქვთ საამისო პირობები.

3. კოვაძეა. აქ გაიმართა აფხაზეთის კალათბურთული შარათის პირველობა. I ადგილი მოიპოვა ჯუღარიძის რაიონის ვაჟთა ხავერდმა. ჯუღარიძელებმა ფინალით დაამარცხეს სოხუმის გუნდი — 54:52. ქალთა შარის პირველობა სოხუმელებმა არაიყის დაუთმეს. 2. ჯალაღონი. საინტერესო შარტი შედგა ქალაქის მე-4 საშუალო სკოლისა და ლენინის სახელობის შარათობა სამხარველოს ფეხბურთელთა გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. 2. ლაბაძე.

სოხუმი აქ გაიმართა აფხაზეთის კალათბურთული შარათის პირველობა. I ადგილი მოიპოვა ჯუღარიძის რაიონის ვაჟთა ხავერდმა. ჯუღარიძელებმა ფინალით დაამარცხეს სოხუმის გუნდი — 54:52. ქალთა შარის პირველობა სოხუმელებმა არაიყის დაუთმეს. 2. ჯალაღონი. საინტერესო შარტი შედგა ქალაქის მე-4 საშუალო სკოლისა და ლენინის სახელობის შარათობა სამხარველოს ფეხბურთელთა გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. 2. ლაბაძე.

# ფიზკულტურული ფუთი სკოლაში

სკოლაში, ზოგადსაგანმანათლებლო გავლენისთვის, ხანმოკლე დროში მცირე რაოდენობითა და დონორებით საერთოგანმავითარებელ ვარჯიშთა ჩატარებას ფიზკულტურული წუთი უწოდებენ.

ფიზკულტურული წუთის გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა შრომისუხარისხობის ამაღლებას, დისციპლინის განმტკიცებასა და ჯანმრთელობის დაცვას.

ფიზკულტურული წუთი ძირითადად ტარდება I-IV კლასების გზკვეთილებზე, მაგრამ მისი გამოყენება საშუალო და უფროს კლასებშიც შეიძლება. ფიზკულტურული წუთი ტარდება აქტიური დასვენების მიზნით. იგი განსაკუთრებით მიზანშეწონილია სასწავლო დღის მეორე ნახევარში — ბოლო გავლენისთვის, თანაც შუა გავლენისთვის ან მის მეორე ნახევარში, როდესაც მოსწავლეთა დაღლილობა მატულობს.

ფიზკულტურული წუთის ატარება ზოგადსაგანმანათლებლო საგნის მასწავლებელი, რომელიც ძირითადად ვარჯიშთა შერჩევასა და ჩატარების საკითხში დახმარება უნდა გაუწიოს ფიზკულტურულ აღზრდის მასწავლებელს.

პრიფკავშირის ტარდება 1-2 წუთის ხანგრძლივობით და მასში შეიძლება ჩართული იქნას ყრთიდან სამ ვარჯიშამდე. ფიზკულტურული წუთის ძირითად საშუალებას წარმოადგენს მარტივი საერთოგანმავითარებელი ვარჯიშები, რომლებიც ძირითადად სრულდება მერხთან, როგორც ჯდომით, ისე დგომით მდგომარეობაში, მერხებს შორის გასასვლელში და სხვ. საერთოგანმავითარებელი ვარჯიშების გარდა ხშირად ტარდება გამოიყენეთ ადგილზე სიარული.

ფიზკულტურული წუთში ვარჯიშები უნდა შეირჩეს სასწავლო მეცადინეობის ხასიათის შესაბამისად. ამასთან, ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობის ამაღლებისა და პროპორციული განვითარებისთვის კომპლექსში შესაძლებლობისამებრ ყრადღება უნდა მიექცეს ისეთი ვარჯიშების გამოყენებას, რომლებიც გამოიწვევენ შეცდინების პროცესში დაძინებულ კუნთების შეკუმშვას და, პირაქით, შეკუმშული კუნთების დაძინებლობას. მაგალითად: ხაზვის, ხატვის, წერითი სამუშაოს და სხვა ამგვარი საშუალოს შესრულების შემდეგ ფიზკულტურული წუთში მიზანშეწონილია ჩაირთოს მკლავების მოძრაობანი თითების მომუშაობა და გამლით, ასევე, ვარჯიშები გულმეურდის არის გახვევითა და თავის უკან გადახარბთ.

საშუალებას წარმოადგენს ადგილზე სიარული, ჩანუქება მუხლების განხეგაზღვი და გაუმჯობესება, ფეხების აქწევა სხვადასხვა მიმართულებით, მერხიდან ადგომა-დაჯდომა და სხვ.

ფიზკულტურული წუთში მხოლოდ 1 ვარჯიშის ჩატარებისას მიზანშეწონილია გამოიყენეთ „გაზმორების“ ტიპის ვარჯიში ადგომითა და დაჯდომით, მკლავებისა და ხელების მიძრაობით. 2 ვარჯიშის ჩატარების შემთხვევაში პირველ ვარჯიშად გამოიყენება „გაზმორების“ ტიპის ვარჯიში; თუ „გაზმორების“ ტიპის ვარჯიში სრულდება ადგომა-დაჯდომით, მაშინ მეორე ვარჯიშად სასურველია გამოიყენებთ ზეტანის ვარჯიშები, გახვევები, უკუნუნებები, ზეტანის ბრუნვა და სხვ. „გაზმორების“ ტიპის ვარჯიშის ჯდომით ან დგომით შესრულების შემთხვევაში კი მეორე ვარჯიშად მიზანშეწონილია ჩატარდეს ქვედა კიდურების ვარჯიში, მუხლების მალა აწვევით ადგილზე სიარული, ჩანუქვები, ფეხების აქწევა სხვადასხვა მიმართულებით, მერხიდან ადგომა-დაჯდომა და სხვ. 3 ვარჯიშის გამოყენების შემთხვევაში პირველი ვარჯიშია „გაზმორების“ ტიპის, მეორე — ქვედა კიდურებისთვის და მესამე — ზეტანისთვის ვარჯიშები. იმ შემთხვევაში, თუ „გაზმორების“ ტიპის ვარჯიში სრულდება ადგომა-დაჯდომით, მომდევნო 2 ვარჯიში შეიძლება იყოს ზეტანის კუნთებისთვის (მავალითად, ჯერ უკუნუნები, შემდეგ განხვევები, ანდა უკუნუნები და ზეტანის ბრუნვა და სხვ.).

ფიზკულტურული წუთში ცალკეული ვარჯიშები უნდა გამოირდეს 4-6-ჯერ; თუ პაუზაში გამოიყენებულია 1 ვარჯიში, მაშინ დონორებს იღვავ გაიზრდება და პირაქით, 3 ვარჯიშის ჩატარების შემთხვევაში განმეორებათა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს. ადგილზე სიარული ტარდება 10-20 წამის ხანგრძლივობით. ვარჯიშები უნდა შესრულდეს ნელ ტემპში; ცალკეულ შემთხვევაში კი — საშუალო ტემპში.

თბილ და გრილ დღეებში ფიზკულტურული წუთის დაწვეების წინ საჭიროა ფანჯრების გაღება, ცოც დღეებში — საკვებისა.

ვარჯიშის დაწვეების წინ საჭიროა მოსწავლეებმა მოუშვან სარტყელი და შეისწინან საყლო. ვარჯიშების ჩატარების დროს უნდა მოეწოდებინებინათ ძახილებს, მითითებები ბრძანების ფორმით, მაგრამ წყნარად უნდა მიეცეთ.

ვარჯიშისას სწორად სუნთქვას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. სუნთქვა ცხვირით თავისუფლად, დრმად, ძალდაუტანებლად უნდა ხდებოდეს. მასში თანაბარწონიერად უნდა მიწაწილებოდეს მთელი სასუნთქი აპარატი.

ფიზკულტურული წუთის ჩასატარებლად საერთოგანმავითარებელი ვარჯიშები მრავალრიცხოვანია. ქვემოთ სანიმუშოდ ვიძღვეთ ზოგიერთ მათგანს (ვარჯიშთა დაყოფა პირობებითა).

**„გაზმორების“ ტიპის ვარჯიშები**  
1-ლი ვარჯიში  
ს. მ. (საწყისი მდგომარეობა). მერხთან ჯდომა, ნახევრად მოხრილი მკლავები უკრძნობა მერხის სახურავს.

**ვარჯიშები**  
1-2. მერხის არეში გახვევა, თავის ოდნავ უკან გადახრა, ხელების გატანა დონორში.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**მე-2 ვარჯიში**  
ს. მ. მერხთან ჯდომა, ნახევრად მოხრილი მკლავები უკრძნობა მერხის სახურავს.

**ვარჯიშები**  
1-2. მერხის არეში გახვევა, მკლავების წინ და უკვით აწვევა.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**ვარჯიშები მავალითად**  
კიდურებისთვის  
1-ლი ვარჯიში  
ს. მ. მერხებს შორის გასასვლელში ძირითადი დგომა.

**ვარჯიშები**  
ადგილზე სიარული მკლავების მოძრაობებით.  
მე-2 ვარჯიში  
ს. მ. მერხებს შორის გასასვლელში ძირითადი დგომა.

**ვარჯიშები**  
1-8. მუხლების მალა აწვევით ადგილზე სიარული მკლავების მოძრაობით.  
9-16. მუხლების მალა აწვევით ადგილზე სიარული, დონორში.

**ვარჯიშები ზეტანისთვის**  
1-ლი ვარჯიში  
ს. მ. მერხთან ფეხმლით დგომა, ფეხები მხრების სიგანეზე, მკლავები მოხრილია თავის უკან, ხელის გულში დაიდებულია კისერზე.

**ვარჯიშები**  
1-2. ზეტანის წინ დახრა, ხელის გულში დაიდებულია დონორში.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**ვარჯიშები**  
ფიფე, თვითუული მოძრაობა თვითულ თვლაზე.  
ფიფე, მკლავების სხვადასხვა საწყისი მდგომარეობიდან, სხვადასხვა მოძრაობით.

**მე-2 ვარჯიში**  
ს. მ. მერხებს შორის გასასვლელში პირობებით მერხისკენ ფეხმლით დგომა, ხელები გადატანილია დონორში.

**ვარჯიშები**  
1-2. ზეტანის წინ დახრა, ხელის გულში დაიდებულია დონორში.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.  
ფიფე, თვითუული მოძრაობა თვითულ თვლაზე.  
ფიფე, 1-2 თვლაზე, შარშანდებური მოძრაობით.

**უკუნუნები**  
1-ლი ვარჯიში  
ს. მ. მერხთან ფეხმლით დგომა, მკლავები ჩამოშვებულია ტანის გასწვრივ.

## ორგანიზაციულ-გეთოღური მითითებანი

**ვარჯიშები**  
1-2. ზეტანის უკან გადახრა, ხელუბის გადატანა დონორში.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**მე-2 ვარჯიში**  
ს. მ. მერხთან ფეხმლით დგომა, მკლავები მოხრილია თავს უკან, ხელის გულში დაიდებულია კისერზე.

**ვარჯიშები**  
1-2. ზეტანის უკან გადახრა, მკლავების უკვით აწვევა.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**ვარჯიშები**  
1-ლი ვარჯიში  
ს. მ. მერხთან ფეხმლით დგომა, ხელები გადატანილია დონორში (მკლავები მოხრილია თავს უკან, ხელის გულში დაიდებულია კისერზე).

**ვარჯიშები**  
1-2. ზეტანის მარცხნოვ გადახრა, მკლავების უკვით აწვევა.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**მე-2 ვარჯიში**  
ს. მ. მერხთან ფეხმლით დგომა, მკლავები მოხრილია თავს უკან, ხელის გულში დაიდებულია კისერზე.

**ვარჯიშები**  
1-2. ზეტანის მარცხნოვ გადახრა, მკლავების უკვით აწვევა.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**ვარჯიშები**  
ფიფე, თვითუული მოძრაობა თვითულ თვლაზე.  
ფიფე, მკლავების სხვადასხვა საწყისი მდგომარეობიდან, სხვადასხვა მოძრაობით.


**მე-2 ვარჯიში**  
ს. მ. მერხთან ფეხმლით დგომა, მკლავები მოხრილია თავს უკან, ხელის გულში დაიდებულია კისერზე.

**ვარჯიშები**  
1-2. ზეტანის მიბრუნება მარცხნოვ, მარცხნოვ მკლავის განზე გამართვა და ხელის გულით უკანა მერხის სახურავზე შექვება.  
3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

**ფიფე**  
ფიფე, 1-2 თვლაზე ადგომითა და მკლავების განზე გამართვით.  
ფიფე, მკლავების გამართვით — განზე უკვით და სხვ.

**თვლაზე**  
საქართველოს სსრ დამსახურებული მწერთა ნ. ნინია-შვილი.

ფიფე, 1-2 თვლაზე ადგომითა და მკლავების განზე გამართვით.  
ფიფე, მკლავების გამართვით — განზე უკვით და სხვ.



# სპორტი

● **ბალინი**, 1 თებერვალი. აქ გრძელდება სსრ კავშირის პირველობა კალათბურთულ ვაჟთა შორის. თბილისის „დინამო“ შეხვდა თავის მოსკოველ თანაკლუბულს და გაიმარჯვა — 87:58. ცსკა-ს მოუფლო კაუნასის „სულგორისს“ — 64:56, რიგის არმიელთა გუნდმა — კიეველ თანაკლუბულს — 64:56, კიევის „სტროიტელმა“ — რიგის ვეფს — 60:52, ტარტუს „კალევა“ — ლენინგრადის „სპარტაკს“ — 72:64, სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — ლენინგრადის არმიელს — 89:76.

● **ლბანსკი**, 1 თებერვალი. სსრ კავშირის კალათბურთულ ქალთა ჩემპიონატის დღევანდელი მატჩები ასე დამთავრდა: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პოლიტექნიკი“ (კაუნასი) 56:38, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 59:51, „ბურვესტნიკი“ (როსტოვი) — „ბურვესტნიკი“ (ლენინგრადი) 41:50, „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „ურვერსიტეტი“ (ტარტუ) — 36:47, ასე (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 41:54.

● **ბრატისლავა**, 1 თებერვალი. ევროპის ჩემპიონატზე ციკლურებით ფიგურულ სიალში 3 ფიგურის შესრულების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ავსტრიელმა ე. დანცერმა. საბჭოთა სპორტსმენები ს. ჩეტვერუხინი და ა. მეშკოვი X-XI ადგილებს იყოფენ.

● **ბრემენი**, 1 თებერვალი. მოცურავეთა აქ მოწყობილ საერთაშორისო ფესტივალზე ნაჩვენებია იქნა მაღალი შედეგები. ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ავსტრიელი კ. ბერი პირველი იყო ბატერფლაის სტილით 200 მეტრზე ცურვაში — 2.08.5. მსოფლიოს რეკორდსმენმა ქალმა ა. კოვმა (პოლანდია) ბატერფლაით 100 მეტრის გაცურვას მოახლოა 1.05.9. ცურვის ამ სახეობის 200-მეტრიან დისტანციას უძლიერესი იყო პოლანდიელი სპორტსმენი ქალი კ. ბიმოლტი — 2.44.3. ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ პირველად გამწვიდა ევროპის რეკორდსმენი გ. მერტი (გფრ), რომელმაც გაიმარჯვა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.46.0. ეს მანძილი თავისუფალი სტილით ყველაზე სწრაფად გაცურა მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა ქალმა მ. რენდელმა — 4.44.1. 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში ყველას აჯობა ევროპის რეკორდსმენმა ე. ი. კუპერმა — 2 17.9.

# V ტურნირის ფინიში

ადგილობრივ სპორტის სასახლეში გუშინწინ დამთავრდა თბილისის V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ქიდაობაში. უმრავლეს წინაშე პირველობის ბედი უკვე დიდი ხნა გადაწყვეტილია, როცა ირანელმა უ. პურასტალმა ქულებით მოუფლო ვ. კარპოვს (სსრ კავშირი). საღამოს, ფინალურ შეხვედრებში დროს, ვ. კარპოვი ტ. ალიბეგაშვილთანაც დამარცხდა. II ადგილი დაიკავა ალიბეგაშვილმა, ხოლო III — ბულგარელმა ვ. ახიზოვმა.

## 3. გოგიჩაიშვილი, ს. პარსაულიძე, ნ. ხობაშვილი, ა. ცხომეშვილი — გამარჯვებულნი

შრატე წონის ათლეტთა ფინალში ერთმანეთს შეეჭიდნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები — პ. შალაიანი და პ. ალექსევი. გამარჯვდა არ იყო I ან სხვა საპრობო ადგილებისთვის შერჩენილია. გამარჯვებულს სახელი უამეგანოდ დაეკისრა — პ. შალაიანი. ვ. გოგიჩაიშვილს, ვინაიდან მას მეტოქეებზე გაცილებით ნაკლები

საკარიმო ქულა ჰქონდა. თანაც ზემოხსენებული წყვილის ჰიდილი მომდევნო საპრობო ადგილების ბედსაც ვერ წყვეტდა: ტურნირის დებულებით I ქვეყნიდან ერთ წონაში 2 მოქიდავის გასვლა საპრობო ადგილებზე დაუშვებელია. აქ II იყო ს. შალიანი (ბულგარეთი), III — ტ. აბდუგალოვი (ირანი).

ქვემსუბუქე წონაში, როგორც ვიუწყებოდით, პირველობის ბედი უნდა გადაეწყვიტა ს. ქარსაულიძემ — გ. ყვარელაშვილის შეხვედრას. გაიმარჯვა ქარსაულიძემ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პ. ბეჟუბაიანი (ირანი) და ნ. პანაგი (მონღოლეთი).

მომდევნო წონაში გამარჯვებულის ბედი მასინ გადაწყდა, როცა ნ. ხობაშვილმა ქულებით სძლია ირანელ შ. მომენს. ეს უკანასკნელი II ადგილით დაკმაყოფილდა. III იყო მონღოლი ს. დანზანდარჯანი. ქვესაშუალო წონაში შეუდარებელი იყო საბჭოთა სპორტსმენი ი. შანშურალოვი. II ადგილი დაიკავა უ. დიმიტროვი (ბულგარეთი), III — ბ. მუნუმა (მონღოლეთი). შემდეგი წონის ფინალში ა. ცხომეშვილი (სსრ კავშირი) ქულებით სძლია თანაკლუბელს ვ. ლიტოვინოვს და მოუწვეველი გახდა მეტოქეებისთვის. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: მ. შიზუბური (ირანი), რ. პეტროვი (ბულგარეთი). ქვემომწვევ წონაში ყველას აჯობა კ. ლიფანევი (სსრ კავშირი). II იყო მ. ვასილიევს (ბულგარეთი). III საპრობო ადგილი არ გათამაშებულა, ვინაიდან დანარჩენი მონაწილეები სსრ კავშირის მოქიდავები იყვნენ.


მომწვევ წონის ათლეტებიდან ყველას აჯობა ბულგარელმა ვ. კოსტოვმა. საპრობო ადგილები დაიკავეს: ვ. პოპოვი (სსრ კავშირი) და ი. რენიკა (უნგრეთი).

შეჯიბრების დასასრულს ტურნირში გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

**ზ. ჯანდირი.**

სურათზე: ი. გუსოვისა (მარცხნივ) და მ. მომენის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. სააკოვისა.



# სპორტული კავშირი

**ცნობილი VII ჩემპიონატზე ბულგარეთა ნაკრების წარმატებები ერთობ უმნიშვნელო იყო, I ჩემპიონატში ისინი არ მონაწილეობდნენ, ხოლო II პირველობის შესარჩევ ჯგუფში 2 მარცხი იგემეს უნგრელთაგან ერთნაირი ანგარიშით — 1:1. III ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ფარ-ხალი დაუარეს ჩეხოსლოვაკიელებთან (1:1, 0:3) და სერიოზულ განაცხადებს უარი IV პირველობაში მონაწილეობაზე. V გათამაშების შესარჩევ ჯგუფში ბულგარეთი დამარცხდა ჩეხოსლოვაკიელებს (1:2, 0:0) და რუმინელებთან (1:3, 1:2). მომდევნო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში დამარცხდნენ უნგრელებთან (1:4, 1:2), ორჯერ მოუფეს ნორვეგიას (2:1, 7:0) და ფინალში ვერ გავიდნენ.**

შემდგომ წლებში ბულგარეთის ნაკრები ორჯერ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატთა ფინალში. ჩილოსკენ მიმავალ გზაზე გუნდს ძლიერი მეტოქე შეავდა ფრანგების სახით. ბულგარელებმა ორჯერ დაამარცხეს ფინეთი (2:0, 3:1), შემდეგ პარიზში წააგეს (0:3), მაგრამ სოფიაში მოუფეს ფრანგებს (1:0). დაინიშნა დამატებითი მატჩი მილანში, სადაც ბულგარეთმა მძიმე ბრძოლაში გაიმარჯვა საფრანგეთზე (1:0). ფინალში ბულგარელებმა წააგეს არგენტინელებთან (0:1), უნგრელებთან (1:6) და ფრედ (0:0) ითამაშეს ინგლისთან.

VIII ჩემპიონატისთვის ბულგარეთის ნაკრებს აწვადებდა გამოჩენილი ჩეხი მწვრთნელი რ. ვიტლანი. მან ერთხელ კიდევ შეძლო გუნდის ფინალში გაყვანა.

შარშან ბულგარელებმა ჩაატარეს შემდეგი მატჩები: 2:1 ბერძნებთან ათენში, 4:1 თურქებთან სოფიაში, 1:1 პოლონელებთან კრაკოვში, 4:0 ისრაელთან სოფიაში, 3:2 გერ-ის ნაკრებთან ვარნაში, 3:0 მეღვინის სოფიაში, 0:5 ბელგიასთან ბრიუსელში,


2:1 ისრაელთან ტელ-ავივში, 2:1 ბელგიასთან ფლორენციაში. ბურთები გაიტანეს: ასპარუხოვა და კოტკოვა — 6-6, მენევა, კიტოვა, დიევა და კოლევა — თითო.

ნაკრებში გასულ წელს თამაშობდნენ: შატარაშვილი — დეიანოვი, ბონჩევი, ნაიდენოვი (ეს ახალგაზრდა მექარე არ უნდა აფორიოთ ფინალში მექარე ვ. ნაიდენოვთან); მცველები — შენევი, ი. დიმიტროვი, გაუანელოვი, მეთოდიევი, ვასილიევი, შალაშოვი, ვუცოვი, ლარგოვი; ნახმარებელნი — კიტოვი, აბაჭიევი, ანდრეოლოვი, იანოვი, ენჩევი; თამაშდამხმარებელი — დიევი, ასპარუხოვი, იაიკოვი, დეზარსკი, კოტკოვი, ე. დიმიტროვი, კოსტოვი, კოლევი (არ აფორიოთ განთქმულ ბულგარულ თავდასხმელ ი. კოლევათ).

ბულგარეთის ნაკრებს ხელ შეუწყო მწვრთნელი ტურნე ექნება სამხრეთ ამერიკაში, შემდეგ — ევროპაში. ახლა ვიტლანილს მოლოპარაგება აქვს ევროპის მთელ რიგ გუნდებთან. უკვე ცნობილია I მატჩის თარიღი: 24 აპრილს ბულგარელები პრაღაში ხვდებიან ჩეხოსლოვაკიელებს.

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში ამ ბოლოს ხანს დიდი მოპოვება მოიპოვა ბულგარეთის ნაკრების ახალგაზრდა ცენტრალურმა ფორვარდმა გ. ასპარუხოვმა. იგი გამოირჩევა შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით, მაღალი ტექნიკით და შედეგადობით. მას დიდი წვლილი მიუძღვის თავისი გუნდის საერთო წარმატებაში.

სურათზე: შესარჩევი მატჩის მომენტი მსოფლიო პირველობაზე ბულგარეთისა და ისრაელის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ბულგარელებმა მოიგეს ანგარიშით 4:0. გ. ასპარუხოვს (მარცხნიდან მეორე) გააქვს გოლი მეტოქის კარში.



# ნოღებათა გინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ ხანგაღებებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის საპატიო ნიშნით დაჯილდოვდნენ: **ველოსპორტში** — ი. კავსაძე, ა. პროკოპენკო (ორივენი — თბილისი, „დინამო“); **ჩოგბურთში** — ნ. მიმინაშვილი (თბილისი, „დინამო“); **ძალისხერხში** — ვ. სვინინკო (თბილისი, „ბურვესტნიკი“); **ხატუნდო ხროლაში** — ბ. სევალიევი, ა. ოსეპიანი (ორივენი — სოხუმი, „სპარტაკი“).

# დიდი, დიდი გადლოვა!

უკრაინელი ფეხბურთის მოყვარულები მოუთმენლად მოველოდით მატჩს კიევის „დინამოსა“ და გლახოს „სელტისს“ შორის, ინტერესით ვადევნებდით თვალს შის მსვლელობას ტელევიზიით.

მართალია, ჩვენი იმედები არ გამართლდა და კიეველებმა ორი მატჩის რაში დამარცხება განიცადეს, მაგრამ საქმე ეს რილია. ჩვენ, ტელევიზიებიდან მსხდომი გულმემატიკარნი, უდიდესი კმაყოფილებით ვუცქეროდით, თუ როგორ განიცდიდნენ თბილისელი მაყურებლები კიეველ-

თა მატჩს, როგორ ქომაგობდნენ მათ და ამხნველებდნენ ტრიბუნებიდან. ეს იყო ჩვენი მეგობრობისა და კოლეგიალობის ცხოველი გამოხატულება და ამისთვის დიდი მადლობა თვითველ თქვენგანს.

უსარგებლოდ შემთხვევით და მწერ ხალაშს ვუთვლი ჩემს თანამესახერებს, სპორტსმენს, ამჟამად სამშულო ომის ინვალიდს, 48-ე გვარდიული დივიზიის მსროლელი მატალიონის ყოფილ მეთაურს, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერის მისეილ გიორგის ძე პურტიას, რომელიც თბილისში ცხოვრობს ათარბგოვის ქ. № 36-ში.

3. ბალიშაი.

# ბრაზილიისკენ...

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს, რომელიც საწვრთნელ ტურნეს ატარებს სამხრეთ ამერიკაში, აკლდა ჩამდუნემ მოთამაშე. და აი, ამ დღეებში მოსკოვიდან ბრაზილიას გაემგზავრნენ ვ. ბანოკოვი, ა. ბიბა, ი. საბო, ვ. სერებრანიოვი, ვ. ხმელნიკი („დინამო“, კიევი) და ხ. უსატოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

ამ ჯგუფს თან გაემგზავნა მწვრთნელი ვ. ნაბოკოვი, რომელიც კინოოპერატორის როლსაც შეასრულებს სამწვრთნლო, ავადმყოფობის გამო ბრაზილიას ვერ გაემგზავრა მ. სურცილაკა.

# აქამად აქვსი...

ხელგაშთი  
ეროვნული

**ქრონიკის წინათ** „ლელი“ გამომცემლობის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში შექმნილი მდგომარეობის ამსახველი წერილი ამის შემდგომ კიდევ გაიმართა რამდენიმე მატჩი, რომლებმაც ცხადია, გარკვეული კორექტივები შეიტანეს (მაგალითად, თუ მაშინ 16 გუნდიდან 4 ფინალისტი იყო ცნობილი, ახლა მათ კიდევ 2 ფინალისტი დაემატა).

გადავხედოთ შესარჩევ ჯგუფებს...

**I ჯგუფი**  
**რუმინეთი.** მესარჩევი მატჩების განთავსება, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი.

**II ჯგუფი**  
**შვეიცარია.** ფინალში დაშვებულია, როგორც ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა.

**III ჯგუფი**  
**იაპონია.** ფინალში დაშვებულია, როგორც აზიის ქვეყნების ერთადერთი წარმომადგენელი.

## IV ჯგუფი

**ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, ნორვეგია.** ამ ჯგუფში და აგრეთვე V, VI, VII, VIII ჯგუფებში გაიმართება შესარჩევი მატჩები; თვითველ მათგანში I-II ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ ფინალის საგზურებს. შეხვედრები გაიმართება ორ წრედ — შინ და გარეთ.

## V ჯგუფი

**გერმანია, შვეიცარია, პოლონეთი.** შვეიცარიამ მოულოდნელად (13:8), პოლონდამ — ბელგიას (19:14), გერმანია — შვეიცარიას (14:13). ამ ფინალში გასულის ყველაზე დიდი შანსები აქვთ გერმანიას და შვეიცარიას. რაც შეეხება ბელგიას, 3 მატჩის წაგების შემდეგ იგი უკვე განწარულია და ფინალში ვერ მოხვდება.

## VI ჯგუფი

სსრ კავშირი, ფინეთი, შვედეთი.

ამ ჯგუფში ფინელების ბედი სასწორზე დევს. ისინი უკვე სამჯერ დამარცხდნენ: სსრ კავშირთან — 11:26 და გერმანიასთან — 16:26, 9:27. განმეორებით მატჩის სსრ კავშირის გუნდთან ფინელები ალბათ ვერ მოიგებენ. სსრ კავშირის ნაკრები დაამარცხა გერმანიის გუნდმა — 24:16. ამ კოლექტივების განმეორებითი მატჩი გაიმართება თბილისში 5 მარტს, მანამდე კი ჩვენები 27 თებერვალს პელისეში შეხვედრებში ფინელებს. გერმანიის ხელბურთელებმა უკვე გაინადღეს ფინალის საგზური.

## VII ჯგუფი

**დანია, პოლონეთი, ისლანდია.** ამ ჯგუფში სპეციალისტები უპირატესობას დანიას და ისლანდიას აქვთ. თუმცა, მაგრამ პოლონელებმა ამ პროგნოზებში კორექტივი შეიტანეს. მათ ახლახან შეძლეს ისლანდიელთა დამარცხება დიდი ანგარიშით — 27:19. დანიელებმა პოლონელებთან გამარჯვების შემდეგ

მოუგეს ისლანდიელებს — 17:12. ამგვარად, აქ ფავორიტებად დანიელები და პოლონელები გველინებიან. საგზურების მოსაპოვებლად მათ თითო მატჩის მოგებაც ყოფნით.

## VIII ჯგუფი

**უნგრეთი, ესპანეთი, საფრანგეთი.** I წრის ბოლო მატჩი (საფრანგეთი-უნგრეთი) დამთავრდა ფრედ — 10:10. II წრეში უნგრელებმა ესპანელებთან განმეორებითი მატჩიც მოიგეს (26:17) და 5 ქულით ფინალის საგზური გაინადღეს.

## IX ჯგუფი

**აშშ, კანადა.** აქ და X-XI ჯგუფებში ორ-ორი გუნდი მოხვდა. ორმხრივი მატჩების შემდეგ ამ ჯგუფებში საბოლოოდ გამარჯვებულს ვერაფერს ვერ ვთვითვითებთ.

## X ჯგუფი

**არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, ტუნისი.** როგორც ვიუწყებოდით, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდი

ბულმა რეგულარულად მოიხარა ფინალის საგზური: ტუნისმა მოლოდინულად უარი თქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

## XI ჯგუფი

**იუგოსლავია, ისრაელი.** ამ ქვეყნების ხელბურთელთა პირველი მატჩი დამთავრდა იუგოსლავიელების გამარჯვებით — 23:11.

მაშ ასე, 16 ფინალისტიდან აქამად ექვსია ცნობილი: რუმინეთი, შვეიცარია, იაპონია, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, გერმანია, შვეიცარია. შექმნილი ვითარების მიხედვით ფინალის საგზურების მოპოვების დიდი შანსები აქვთ: ჩეხოსლოვაკიას, ავსტრიას, გერმანიას, შვეიცარიას, სსრ კავშირს, დანიას და პოლონეთს. იქნებ არ იწყვეს ისიც, რომ იუგოსლავიელები გაიმარჯვებენ ისრაელელებთან პაექრობაში. დანარჩენთა მდგომარეობა ჯერჯერობით მეტად ბუნდოვანია.

Charlton Sport SPORSTKE NOVOSTI WELPSPIEL PRZEGLAD SPORTOWY



ბის პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წლებულს. საბჭოთა კავშირის ერთგული გუნდის თანაგუნდელები მსოფლიო ჩემპიონატში — იტალიელები დამარცხდნენ ავსტრიის ნაკრებთან — 1:2. იტალიელები ახალგაზრდული შემადგენლობით გამოვიდნენ.

▲ ბერკლი. დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ფიგურისტთა აქ გამართულმა ჩემპიონატმა. შარშანდელ ჩემპიონს — გისკონტის ფარ-ხმალი დააყრდენა 17 წლის ჯაბუკმა ალენმა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა. ალენის თანატოლმა ფლეშინგმა ყველას აჯობა ქალთა შორის. ციკლებში ჩემპიონის წოდება შეინარჩუნეს ფორჩენა და სეიმმა.

## „შავი ქურციკიდან“ — „თეთრი უველაგდე“

პოლონურმა ჟურნალმა „სპორტოვეცა“ ამ სათაურით გამოაქვეყნა ნარკვევი. მასში ლაპარაკია მსოფლიოში სახელგანთქმული მძლეოსნების — ვილმა რუდოლფისა, რომელსაც „შავი ქურციკი“ შეარქვეს და ირენა კირშენშტეინის („თეთრი შეველი“) შესახებ. ნარკვევის ავტორი კ. ჰიგი წერს:

დაც სპორტული შედეგები სრულყოფა.

ჩემი აზრით, კირშენშტეინი ჯერჯერობით ერთადერთია, რომელსაც ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რათა 100 მ გაირბინოს 11 წამზე უკეთესად, 200 მეტრი — 22 წამზე სწრაფად და 400 მეტრზე აჩვენოს 50 წამი. განა ეს „თეთრი შეველი“ არ იყო, ვინც დაჩრდილა „შავი ქურციკი“ — ვ. რუდოლფი?



ისედაც ბევრი მეტოქე მყავს სპორტში, სიგრძეზე ხტომასა და სუბტილში და არ მინდა გავამარჯვლო ჩემი „მტრების“ რიცხვი. რაც შეეხება მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესებას, მე მჯონია, აქ საქმე არ მოითხოვება. თუმცა ეს მერბისის ამბავია. ახლა დაკავებული ვარ სხვა საზრუნავით — სწავლით. და კმაყოფილი ვარ, რომ საქმე ურიგოდ არ მიდის. როგორც ჩემი აღმზრდელი პროფესორ-მასწავლებლები მეუბნებიან, ცუდი სტუდენტი არა ვარ, ეკონომიური ფაკულტეტი იმისთვის ავირჩიე, რომ აქ ერთმანეთთან მეტად პარონიულადაა შერწყმული ქუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებანი“.

პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ.

## № 1 პრეტენდენტი

რაც უფრო ახლოვდება სათბილაშურო სპორტში მსოფლიოს პირველობის დღე, მით უფრო იზრდება ინტერესი არა მარტო ამ ასპარეზობის ადგილის — პოლმენკოლენისადმი, არამედ საერთაშორისო შეხვედრებისადმიც, რომლებშიც ოქრის მძლეობის პრეტენდენტები ასპარეზობენ. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, მაგალითად, ამას წინათ ლე-ბრასში (შვეიცარია) გამართულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ. ტურნირში გამოვიდნენ ევროპის 7 ქვეყნის (შვეიცარია, ფინეთი, პოლონეთი, გერმანია, იტალია, ავსტრია) საუკეთესო სპორტმეწიეები. განსაკუთრებით მწკვედ წარმართა რბოლები 15 კილომეტრსა და ესტაფეტაში 3x10 კილომეტრზე. 15 კილომეტრზე შეჯიბრებას სტარტიდანვე სათავეში ჩაუდგნენ პოლონელი ა. რისულა და შვედი მ. ანდერსონი. შუა დისტანციის მერე წინ გავიდა ანდერსონი. რისულას გააწვრო ფინელმა ვ. პაკოლამაც, მაგრამ მეტოქეთა შორის სხვაობა მეტად მცირე იყო. გაიმარჯვა ანდერსონმა — 51.08. II იყო პაკოლა — 51.25, III — რისულა — 51.28.

ესტაფეტაში პირველობა შევლეს დარჩათ. II ადგილზე არიან მასპინძლები, III — ფინეთის ნაკრები. სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ შვედი მოთხილაშურეები მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრის მძლეობის № 1 პრეტენდენტები არიან.

## ისევ კ. შრანცი

მსოფლიოს უძლიერეს სამთო-მოთხილაშურე ვაჭთა ასპარეზობაში „ჰანეის“ პრიზზე (ავსტრიაში) ძალეხ ცდიდნენ საფრანგეთის აშმის, შვეიცარის, შვეიცარიის, ნორვეგიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც. სამპილის ბოლო სახეობა იყო სწრაფდაშვება. მანამდე ტურნირის სათავეში ედგა ავსტრიელი კ. შრანცი, რომელსაც I ქულით ჩამორჩებოდა ე. კლოდ კოლი (საფრანგეთი) და 3 ქულით — კ. ნენინგი (აშშ). შრანცმა ბოლო გამოცდაც „ფრიალზე“ ჩააბარა, უსწრაფესად განვლო ტრასა (144,23) და დაისაკუთრა „ჰანეის“ პრიზი. სწრაფდაშვებაში II იყო ა. ბელკინი (საფრანგეთი) — 144,71, III — ა. დიგარუბერი (ავსტრია) — 145,41. სამპილში II ადგილზეა კილი, ბლო III — ნენინგი.

## შედეგები გააუქმეს და...

უგოსლავიაში გაიმართა მსოფლიოს საუკეთესო სამთო-მოთხილაშურე ქალთა VIII საერთაშორისო ტურნირი „ვერცხლის რქის“ პრიზზე. სულდომში ასპარეზობა მოიგო კანადელმა ნ. გრენემ — 1.27,9, II იყო ფრანგი მ. გოიჩელი — 1.28,9, III — ავსტრიელი ტ. ჰეპერი — 1.29,7. მაგრამ ავსტრიის დელეგაციის ხელმძღვანელობამ ასპარეზობის

..... ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ქალთა შორის 400 მეტრზე რბენა დამთავრდა ავსტრალიელი მ. კატბერტის (52,0) გამარჯვებით. II იყო ინგლისელი ა. პეიერი — 52,2. მაგრამ სპეციალისტებს სწორედ ტოკიოში დაებადათ აზრი, რომ ქვეყნად არსებობენ მძლეოსნები, რომლებსაც შეუძლიათ ეს მანძილი სულ მალე 50 წამში გაირბინონ.

ვინ არის ასეთი ფენომენი? მსოფლიოს რეკორდსმენი 100 და 200 მეტრზე რბენაში, ლამაზი პოლონელი ქალიშვილი ი. კირშენშტეინი, რომელსაც თავის სილამაზეზე ზრუნვა იმდენად არ იტაცებს, რამდენად

დაც სპორტული შედეგები სრულყოფა.

ჩემი აზრით, კირშენშტეინი ჯერჯერობით ერთადერთია, რომელსაც ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რათა 100 მ გაირბინოს 11 წამზე უკეთესად, 200 მეტრი — 22 წამზე სწრაფად და 400 მეტრზე აჩვენოს 50 წამი. განა ეს „თეთრი შეველი“ არ იყო, ვინც დაჩრდილა „შავი ქურციკი“ — ვ. რუდოლფი?

მსოფლიოში უსწრაფესი ქალი „თეთრი შეველი“ საუკეთესო სპორტისტი. მას ამშვენებენ დიდორნი მოციმციმი თვალები, სახე გრძნობები და ინტელექტუალობა. 19 წლის ქალიშვილი, უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი კირშენშტეინი წარუშლელი შთაბეჭდილებას ახდენს!

როცა მას ჩემი მოსაზრება გავუზიარე, გულახდილი საუბარი გამიბა:


— გამოგიტყდებით, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს ვირბინო 400 მეტრზე. უბრალოდ, არ მიყვარს ეს დისტანცია, მით უმეტეს,

## მსოფლიოს თოვლიან ბილიკებზე

ტექნიკურ კომისიას დაუმტკიცა, რომ ტრასა არ შეესაბამებოდა ქალთათვის დადგენილ ნორმებს (დისტანცია მეტად რთული და გაუმართავი იყო). შედეგები გაუქმდა და ასპარეზობა ხელმოკრედ ჩატარდა. ამჯერად თავი ისახელა ტ. ჰეპერმა — 1.38,5. II იყო გრენე — 1.39,8, III — კ. გოიჩელი (საფრანგეთი) — 1.40,3. მისი და — მარიელა IV ადგილით დაკმაყოფილდა — 1.40,5.

ჰეპერი კარგად გამოვიდა სწრაფდაშვებაშიც. 2800-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 672 მ, 19 კარი) მან აჩვენა 2.38,4. გამარჯვებულს სულ რაღაც 0,2 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი ვ. ჰაანი. ჰეპერის მძირითადი მეტოქე სამპილში — კანადელი გრენე V ადგილზე გავიდა, მ. გოიჩელი კი ათეულშიც ვერ მოხვდა, რამაც ავსტრიელს საშუალება მესცა პირველობა დაესაკუთრებინა სამპილში და ხელთ ეგდო ძვირფასი პრიზი.

დასედეტ სურათს. რაოდენ დიდი განცდა იკითხება მიწაზე გართობული სპორტსმენის სახეზე. ვინ არის იგი და რამ გამოიწვია მისი ამგვარი ყოფა? ეს გახლავთ საქვეყნოდ ცნობილი ბრაზილიელი ჩოგბურთელი მარია ბუენო. მან ეს-ეს არის შეწყვიტა ავსტრალიის ლია ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელთან მარგარეტ სმითან (ავსტრალია). ამ ორი ფავორიტის ფინალური შეხვედრა ბუენოსათვის დრამატულად წარიმართა. მესამე, გადამწყვეტ პარტიაში ბუენოს მედლა უმტყუნა: კორტზე ერთ-ერთი სწრაფი მანევრისას ფეხი იღრძო და თამაში ვეღარ შეძლო. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.



## დ. ნოინდორფი — გერმანიის ჩემპიონი

ბარლინი. დამთავრდა გერმანიის „მფრინვე მოთხილაშურეთა“ ჩემპიონატი. უძლიერესის წოდება მოიპოვა დ. ნოინდორფმა — 224,1 ქული (ნახტომები — 81,5 და 84,5 მ). ვერცხლის მედალი ერგო პ. ლესტერს — 222,4 (84 და 84 მ). ბრინჯაოსი — დ. ბოკლოს — 207,2 (80 და 82,5 მ).

## რედაქტორი მ. პაპაბაძე.

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკური უნივერსიტეტი (ორჯონიძის ქ. № 59) ა. წ. 8-20 თებერვალს ჩატარდება უნებურობის მსახურთა მოსამზადებელი სემინარი წარმოებისაგან მოუწყვეტილი.

სემინარის კურსის მოსმენის მსურველებმა უნდა მიმართონ თბილისის სპორტკავშირის ინსპექტორს ფეხბურთში ი. ბოკორაძეს (კონსტიტუციის ქ. № 8).

მ. თბილისის ფეხბურთის შედარებით.